სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

01 მარტი 2024

N 127/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, შპს „მაქრო ქონსთრაქშენის“ 33,3494 ჰა ფართობზე სასარგებლო წიაღისეულის (4835000 მ³ ქვიშა-ხრეშის) ღია კარიერული წესით მოპოვებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლისა და ამავე კოდექსის I დანართის 26-ე ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, შპს „მაქრო ქონსთრაქშენის“ 33,3494 ჰა ფართობზე სასარგებლო წიაღისეულის (4835000 მ³ ქვიშა-ხრეშის) ღია კარიერული წესით მოპოვებაზე სკოპინგის დასკვნა N19;
2. შპს „მაქრო ქონსთრაქშენ“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N19 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მაქრო ქონსთრაქშენს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მაქრო ქონსთრაქშენის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო